



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080131117314419

№ 1078

26 / თებერვალი /
2019 წ.

შპს „გერასკას“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT180016266;

შესყიდვის ობიექტი: 31500000 – გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები;

მიმწოდებელი: შპს „გერასკა“ (ს/ნ: 405145882);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 31 დეკემბრის №01/28812 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №11174), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გერასკას“ (ს/ნ: 405145882) მიერ NAT180016266 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 10 დეკემბრის № 342 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „გერასკას“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის geraskallc@gmail.com მეშვეობით, 2019 წლის 4 იანვრის № 16 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2019 წლის 14 იანვარს შპს „გერასკამ“ წარმოადგინა 2019 წლის 11 იანვრის № 002 განმარტება (რეგისტრაციის №290) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 10 დეკემბრის № 342 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით), მისთვის უნდა მიეწოდებინა ელექტრო მაკომპლექტებელი ელემენტები საახალწლო დეკორაციებისთვის. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 94 833,80 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 25 იანვარი. მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 26 დეკემბრის № 2785 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 10 დეკემბრის № 342 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „გერასკას“ დააკისრა პირგასამტეხლო 37 930 ლარის ოდენობით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო განსაზღვრული საახალწლო ფოტოდიოდური გირლიანდის სისქე, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა მის მიერ შეთავაზებული სისქის გირლიანდის მიღებაზე და მიუთითა NAT180016266 ელექტრონული ტენდერის „კითხვა-პასუხის“ მოდულზე, რომელშიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ გირლიანდის სისქედ მიუთითა 2,5მმ. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული სისქის გირლიანდი ბაზარზე არ მოიპოვება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 11 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა NAT180016266 ელექტრონული ტენდერი გასანათებელი მოწყობილობებისა და ელექტრონათურების (CPV31500000) შესყიდვის მიზნით.

4.2. 2018 წლის 16 ოქტომბერს, NAT180016266 ელექტრონული ტენდერის „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, შპს „გრინ ჰაუსმა“ მოითხოვა საახალწლო ფოტოდიოდური გირლიანდის პარამეტრების დაზუსტება.

4.3. 2018 წლის 17 ოქტომბერს, შემსყიდველმა ორგანიზაციამ NAT180016266 ელექტრონული ტენდერის „კითხვა-პასუხის“ მოდულში მიუთითა საახალწლო ფოტოდიოდური გირლიანდის პარამეტრები, მათ შორის, სპილენძის სადენი 2,5მმ კვეთით.

4.4. 2018 წლის 22 ოქტომბერს NAT180016266 ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადება წარადგინა შპს „გერასკამ“ (ს/ნ: 405145882).

4.5. სატენდერო კომისიის 2018 წლის 4 დეკემბრის № 5 სხდომის ოქმით შპს „გერასკამ“ (ს/ნ: 405145882) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.6. 2018 წლის 10 დეკემბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 342 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით), შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ელექტრო მაკომპლექტებული ელემენტები საახალწლო დეკორაციებისთვის. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 94 833,80 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 5 იანვარი.

4.7. 2018 წლის 24 დეკემბრის №01/28354 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ თუკი იგი 2018 წლის 25 დეკემბრამდე არ მიანვლიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს, შემსყიდველი ორგანიზაცია შეწყვეტდა ხელშეკრულებას.

4.8. მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 26 დეკემბრის № 2785 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 10 დეკემბრის № 342 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „გერასკამ“ დააკისრა პირგასამტეხლო 37 930 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გერასკამ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე აღრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს

პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის განმარტებას საახალწლო ფოტოდიოდური გირლიანდის სისტესთან დაკავშირებით, ვინაიდან შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2018 წლის 17 ოქტომბერს NAT180016266 ელექტრონული ტენდერის „კითხვა-პასუხის“ მოდულში დააბუსტა საახალწლო ფოტოდიოდური გირლიანდის პარამეტრები, მათ შორის, სისქე, ხოლო მიმწოდებელმა სატენდერო წინადადება წარადგინა რამდენიმე დღის შემდეგ, 2018 წლის 22 ოქტომბერს. ამდენად, მიმწოდებელს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა აღნიშნულ მონაცემებს და იმგვარად დაეგემა ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა, ხოლო თუკი იგი არ ეთანხმებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ პარამეტრებს, მას შეეძლო აღნიშნული ჩანაწერი გაესაჩივრებინა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში. მოცემულ შემთხვევაში, მიმწოდებელი სატენდერო წინადადების წარდგენით დაეთანხმა NAT180016266 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციას, მათ შორის, „კითხვა-პასუხის“ მოდულში დაბუსტებულ მონაცემებს. ამდენად, მიმწოდებლის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს ვალდებულებების შესრულებლობით დამდგარი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან მისგან განმათავისუფლებელ გარემოებას.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არ შეასრულა 2018 წლის 10 დეკემბრის №342 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „გერასკა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გერასკა“ (ს/ნ: 405145882) 2019 წლის 27 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე